



იუსტიციის სამინისტრო

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის შევსების პრაქტიკული სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის აქტიური ჩართულობითა და მათი ერთობლივი რეკომენდაციების შესაბამისად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი



სარჩევი

თავი 1 - სამართლებრივი დაახლოების ძირითადი ინსტრუმენტები	3
თავი 2 - შესაბამისობის ცხრილში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ასახვა.....	6
თავი 3 - სამართლებრივი დაახლოების პროცესის ხელშემწყობი პრაქტიკა	7
თავი 3.1 - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების მნიშვნელობა სამართალშემოქმედების ეტაპზე	9
თავი 4 - სამართლებრივი დაახლოების პროცესის შემაფერხებელი პრაქტიკა	11
თავი 5 - შესაბამისობის ცხრილის შევსების პრაქტიკული რეკომენდაციები.....	15

შესავალი

2014 წლის 27 ივნისიდან, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას („ასოცირების შესახებ შეთანხმება“), საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში ახალი ეტაპის ათვლა დაიწყო. კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა ევროპული საბჭოს 2023 წლის 14-15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისადაც საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა. ამ დროიდან საქართველოზე ვრცელდება ევროკავშირის გაწევრიანების წინა პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ მომავალში ეროვნული სამართლის დაახლოების ვალდებულება უკვე ევროკავშირის მთლიან კანონმდებლობასთან მიმართებით ამოქმედდება. ამდენად, საქართველოს მოუწევს სამართალშემოქმედების პროცესში სრულად გაითვალისწინოს EU *acquis*, რაც წარმოადგენს ევროკავშირის ერთიან სამართლებრივ ბაზას, რომელიც მოიცავს როგორც მის პირველად და მეორად კანონმდებლობას და მის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს („მართლმსაჯულების სასამართლო“ ან “CJEU”) გადაწყვეტილებებსა და რბილ სამართალს.

ევროკავშირის სამართალთან დაახლოება ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, რაც არა მხოლოდ მისი მოცულობიდან, არამედ ტექნიკური სირთულეებიდანაც გამომდინარეობს. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც მის მეორად კანონმდებლობაში განხორციელებულ ხშირ ცვლილებებსა და მისი სამართლებრივი აქტების ბუნებას, ასევე ევროკავშირის კომპეტენციებს, რომლებიც საქართველოსთვის რელევანტური მხოლოდ გაწევრიანების შემდგომ გახდება. ამ გამოწვევებთან გამკლავებისთვის აუცილებელია ევროკავშირში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესების მუდმივი დაკვირვება, EU *acquis*-თან ეროვნული კანონმდებლობის ლოგიკური დაახლოება და გამართული მონაცემთა ბაზის ქონა, სადაც აღრიცხული იქნება თითოეული განხორციელებული ეტაპი, რაც გაამარტივებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების იდენტიფიცირებასა და სისტემატიზებას.

ტრანსპოზიციის პროცესის სწორი წარმართვისთვის მნიშვნელოვანია დაახლოების ძირითადი ინსტრუმენტების - განმარტებითი ბარათისა და შესაბამისობის ცხრილის, სათანადოდ მომზადება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2018 წლის 13 ივნისს შესული ცვლილებების თანახმად, ერთი მხრივ, სავალდებულო გახდა განმარტებით ბარათში ევროკავშირის სამართალთან და მასთან დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან პროექტის მიმართების აღნიშვნა, მეორე მხრივ კი, დამტკიცდა ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის ფორმა და განისაზღვრა მისი მომზადების ვალდებულება. კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდგომ, საქართველოსთვის შესაბამისობის ცხრილის სათანადოდ შევსებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტიანი და გამართული სისტემის არსებობაა, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს სწორედ ერთიანი სტანდარტებისა და მიდგომების

შემუშავება და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მოცემული დოკუმენტი, პრაქტიკული რჩევების მეშვეობით, დეტალურად განმარტავს დაახლოების ძირითადი ინსტრუმენტების არსს, მათ მნიშვნელობას, დაახლოების ხელშემწყობ და შემაფერხებელ პრაქტიკასა და შესაბამისობის ცხრილის შევსების რეკომენდაციებს.

თავი 1 - სამართლებრივი დაახლოების ძირითადი ინსტრუმენტები

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასებისას დღესდღეობით გამოიყენება ორი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი: განმარტებითი ბარათი და შესაბამისობის ცხრილი.

განმარტებითი ბარათის მთავარი მიზანია ნორმატიული აქტის პროექტის მიღების, მასში ცვლილებების განხორციელების მიზეზების, ასევე საერთაშორისო, მათ შორის, ევროკავშირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, განმარტებით ბარათში სავალდებულოა აღნიშნოს კანონპროექტის EU *acquis*-თან მიმართებისა და ევროკავშირის იმ კონკრეტული სამართლებრივი აქტის შესახებ, რომელთან დაახლოებაც ამ პროექტით ხორციელდება.

შესაბამისობის ცხრილის მიზანია ევროკავშირისა და ეროვნული სამართლებრივი აქტების ურთიერთმიმართების შედარება. იგი შესაბამისობის შეფასების ყველაზე ზუსტი პრაქტიკული ინსტრუმენტია. ამ დოკუმენტში ევროკავშირის სამართლის დასაახლოებელი აქტები მუხლობრივად არის გაანალიზებული და მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან ან ეროვნული აქტის პროექტთან შედარებული. ამდენად, ამ ინსტრუმენტით ყველაზე ეფექტიანად ფასდება ევროკავშირისა და ეროვნული სამართლებრივი აქტების დაახლოების ხარისხი. საგულისხმოა შესაბამისობის ცხრილის ორმაგი დატვირთვა - მათი მომზადება ნათლად ასახავს ტრანსპოზიციის სრულ სურათს და ხელს უწყობს მისი შემდგომი დაგეგმვისა და ევროკავშირთან ანგარიშვალდებულების საკითხებს. ამასთან, ის, როგორც სამართლებრივი დაახლოების პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებსა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაფუძნებულ ორგანოებს, ასევე ევროკავშირის ინსტიტუტებს, უადვილებს სამართლებრივი დაახლოების მიმდინარეობის ზედამხედველობას.

შესაბამისობის ცხრილის ფორმა დამტკიცებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. 2018 წლის 13 ივნისის კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად (მიღების თარიღი: 13/06/2018; ს.კ: 010240010.05.001.018872), ევროკავშირის იმ სამართლებრივი აქტის არსებობისას, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაბამისობის შეფასების პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის დანართი №1-ით ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილის ფორმა შემდეგნაირად განისაზღვრა:

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი		საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში: №1. ნორმატიული აქტის პროექტი №2 ნორმატიული აქტი შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი – ცხრილის ამ ველში აღინიშნება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სრული დასახელება: სათაური, ნომერი, სამართლებრივი ფორმა, მიმღები ორგანო და მიღების თარიღი.

საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები – ამ ველში მიეთითება იმ ეროვნული ნორმატიული აქტების პროექტებისა და მოქმედი კანონმდებლობის სრული დასახელება და სამართლებრივი ფორმა, რომლითაც ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან დაახლოება ხორციელდება. თითოეულ მათგანს ენიჭება შესაბამისი ნომერი. ნუმერაციაში თავდაპირველად ეთითება ის პროექტი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ევროკავშირის სამართლის აქტის ტრანსპოზიციას ემსახურება, ხოლო შემდგომ - მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ევროკავშირის განსახილველი აქტით გათვალისწინებულ საკითხებს არეგულირებს.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესაბამისი მუხლი ან ნაწილი - ცხრილის 1-ელ ველში აღინიშნება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების ნუმერაცია.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესაბამისი ნორმა - ცხრილის მე-2 ველში აისახება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების ტექსტი.

საქართველოს ნორმატიული აქტისთვის/პროექტისთვის მინიჭებული შესაბამისი ნომერი - ცხრილის მე-3 ველში მიეთითება ეროვნული ნორმატიული აქტების პროექტებისა და

მოქმედი კანონმდებლობის ის ნომერი, რომელიც ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს ცხრილში განსაზღვრული საქართველოს ნორმატიული აქტების/პროექტების ჩამონათვალის შესაბამისად.

საქართველოს ნორმატიული აქტის/საქართველოს ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისი მუხლი ან პუნქტი (ნაწილი) - ცხრილის მე-4 ველში აღინიშნება ეროვნული ნორმატიული აქტის თითოეული დებულების ნომერი.

საქართველოს ნორმატიული აქტის/საქართველოს ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისი ნორმა - ცხრილის მე-5 ველში აისახება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების შესატყვისი ეროვნული ნორმატიული აქტის/პროექტის ნორმის ტექსტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შესაბამისობის შეფასება - ცხრილის მე-6 ველში ფასდება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებასთან ეროვნული სამართლებრივი აქტის/პროექტის ნორმის შესაბამისობა. შესაბამისობის ხარისხის მიხედვით განსხვავდება შემდეგი სტატუსები - „სრულად შესაბამისი“, „ნაწილობრივ შესაბამისი“, „შეუსაბამო“ და „არასავალდებულო“:

1. **სრულად შესაბამისი** - ეროვნული ნორმა სრულად შესაბამისად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ ის სრულყოფილად ასახავს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების შინაარსს;
2. **ნაწილობრივ შესაბამისი** - ეროვნული ნორმა ნაწილობრივ შესაბამისად მიიჩნევა, თუ იგი მოცემულ ეტაპზე სრულად არ იზიარებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების მოთხოვნებს;
3. **შეუსაბამო** - ეროვნული ნორმა შეუსაბამოა, თუკი ის ეწინააღმდეგება, სრულიად განსხვავებულად ან საერთოდ არ აწესრიგებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებით განსაზღვრულ საკითხებს;
4. **არასავალდებულო** - აღიშნული სტატუსი მიეთითება იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტის კონკრეტული დებულების ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიცია საქართველოსთვის არარელევანტურია.

შენიშვნები – ცხრილის მე-7 ველში, დაახლოების ნებისმიერი ხარისხის არსებობისას, საჭიროების შემთხვევაში, აღინიშნება ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შესაბამისობის სრულყოფილად შეფასებისთვის. ამავე ველში განიმარტება ნაწილობრივი შესაბამისობის, შეუსაბამობისა და არასავალდებულოობის კონკრეტული მიზეზები.

თავი 2 - შესაბამისობის ცხრილში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ასახვა

შესაბამისობის შეფასების მიზნით, შესაბამისობის ცხრილებისა და სხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტების დანერგვა დაახლოების პროცესის ადრეულ ეტაპზე რეკომენდებული. ერთი მხრივ, ის გამოიყენება იმის დასადგენად, ეროვნულ დონეზე სრულად და დროულად შესრულდა თუ არა ნაკისრი ვალდებულებები. მეორე მხრივ კი, იგი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების დოკუმენტურ მტკიცებულებას და, საჭიროების შემთხვევაში, არგუმენტირებულად ასაბუთებს მისი ნაწილობრივი შესრულების ან შეუსრულებლობის მიზეზებს.

შესაბამისობის ცხრილის შევსების ეტაპზე გასათვალისწინებელია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

სათაური - მისი მეშვეობით აქტის მოძიება შესაძლებელია ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ელექტრონულ ბაზაში (EUR-LEX - www.eur-lex.europa.eu).

პრეამბულა - აქტის შესავალი ნაწილი, სადაც განმარტებულია მისი მიღების მიზეზები, სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურა. იგი არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციას, თუმცა მისი ანალიზი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ის ხელს უწყობს ბუნდოვანი დებულებების სწორად განმარტებას.

ძირითადი ტექსტი - სამართლებრივი აქტის ის ნაწილი, რომელიც ადგენს მის ძირითად მოთხოვნებს, განსაზღვრავს მისი მიღების მიზანს, გვაწვდის ტერმინთა განმარტებას და აყალიბებს უფლებებისა და ვალდებულებების წარმომშობ ნორმებს. ამდენად, ევროკავშირის აქტთან დაახლოებისას, თითოეულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მისი მუხლობრივი ანალიზი.

დანართები - ამ ნაწილში შესაძლოა ასახული იყოს ევროკავშირის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცედურები და აღსრულების მექანიზმები, ფორმულები, მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაცია, კორელაციის ცხრილი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ყველა ნაწილი ტრანსპოზიციას არ საჭიროებს. მაგალითად, მიზანშეწონილი არ არის იმ ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა, რომლებიც მხოლოდ ევროკავშირის ინსტიტუტების უფლებამოსილებებს არეგულირებს. ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ დებულებასთან დაახლოების საჭიროება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, მისი შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე.

საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, შესაბამისობის ცხრილი დაახლოების პროცესის დაწყებისთანავე მზადდება და აქტის ძალაში შესვლამდე მასში შეტანილი ყველა ცვლილების პარალელურად ახლდება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ცხრილის პირველად ვერსიაში აისახოს თითოეული ის ცვლილება, რომელიც პროექტში განხორციელდება ეროვნული აქტის მომზადებიდან მის მიღებამდე ნებისმიერ ეტაპზე (მაგ., საპარლამენტო მოსმენები, მთავრობის ელექტრონულ სისტემაში განხილვის პროცესი და სხვა).

მნიშვნელოვანია, მომზადებული შესაბამისობის ცხრილი პერიოდულად მომავალშიც განახლდეს, რათა მასში აისახოს ეროვნული სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის შემდგომ შეტანილი ის თითოეული ცვლილებაც, რომელიც რელევანტურია დასახლოებელი ევროკავშირის აქტის ტრანსპოზიციის მიზნებისთვის (ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ ნორმებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებებიდან გამომდინარეობს). აღნიშნული გასათვალისწინებელია იმდენად, რამდენადაც მომავალში ევროკავშირის წარედგინება ცხრილის ის ვერსია, სადაც ასახული უნდა იყოს იმ მომენტისათვის მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგება.

თავი 3 - სამართლებრივი დაახლოების პროცესის ხელშემწყობი პრაქტიკა

სამართალშემოქმედების პროცესში კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს დაახლოების სხვადასხვა მეთოდები, ვინაიდან დასახლოებელი აქტის ტიპიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის შესაძლოა განსხვავებული ტექნიკების გამოყენება იყოს მიზანშეწონილი. ქვემოთ განხილულია დაახლოების პროცესის ხელშემწყობი პრაქტიკის მაგალითები.

ევროკავშირის მიერ თავისი წვერი სახელმწიფოებისთვის დადგენილი პრინციპებითა და სტანდარტებით ხელმძღვანელობა – ევროკავშირი თავის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს ერთსა და იმავე სახელმძღვანელო მოთხოვნებს უწესებს. ამდენად, დაახლოების მსურველმა ქვეყანამ ევროკავშირის სამართლებრივი აქტები შიდა კანონმდებლობაში უნდა დანერგოს იმავე პრინციპების შესაბამისად, რომლებსაც ევროკავშირი წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს.

მოქმედი ეროვნული რეგულირების შესწავლა - ტრანსპოზიციის დროს რეკომენდებულია შეფასდეს ეროვნული მართლწესრიგის შესაბამისობა ევროკავშირის აქტის რეგულირებასთან. თუ შესაძლებელია, მიზანშეწონილია, არსებული მოწესრიგება მოერგოს ევროკავშირის მოთხოვნებს ან, საჭიროებისამებრ, მოქმედ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები. მაგალითად, ტერმინთა განმარტებების ტრანსპოზიციისას, პირველ რიგში მოკვლეულ უნდა იქნეს მათი ეროვნული ეკვივალენტები, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა აუცილებელი გახდეს ახალი ტერმინების შემოტანაც – ეს განსაკუთრებით ეხება ტექნიკურ საკითხებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე ნაკლებადაა მოწესრიგებული.

დაახლოების პროცესში შემუშავებული ნორმების შიდა სამართლებრივ სისტემაში ინკორპორირება – ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებების ტრანსპოზიციამ შესაძლოა ევროკავშირთან დაახლოებულ და ეროვნულ კანონმდებლობაში უკვე არსებულ დებულებებს შორის ნორმათა კოლიზია გამოიწვიოს. შედეგად, რიგი ეროვნული ნორმატიული აქტები შესაძლებელია შეიცვალოს ან გასაუქმებელი გახდეს. ეროვნული სამართლებრივი სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შეუსაბამოების დროულად აღმოფხვრა და, ამავდროულად, შიდა მართლწესრიგის მთლიანობის შენარჩუნება. ევროკავშირის აქტის დებულებების ტრანსპოზიციისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროცესში შემუშავებული ნორმების

ეროვნულ სამართალში იმგვარად ინკორპორირებას, რომ ისინი, შიდა კანონმდებლობის თავისებურებათა გათვალისწინებით, მის განუყოფელ ნაწილად იქცეს. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, აქტი შესაძლოა მხოლოდ მატერიალურ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას წარმოადგენდეს, შესაბამისად, ტრანსპოზიციის მიუხედავად, მისი აღსრულება ვერ მოხერხდეს დამატებითი ეროვნული პროცედურული ნორმების შემოღების გარეშე. ამგვარი ნორმატიული აქტი საჭიროებს ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანას და სათანადო შიდა აღსრულების მექანიზმების დანერგვას.

ტრანსპოზიციის პროცესში საკანონმდებლო ენის სწორად შერჩევა - სამართლებრივ დაახლოებაზე მუშაობისას ყოველთვის მნიშვნელოვანია მარტივი და ცხადი სამართლებრივი ენის შენარჩუნება, რათა ნორმათა შინაარსი ადრესატებისთვის ადვილად აღსაქმელი და განჭვრეტადი იყოს.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტის გამართული თარგმანი - შესაბამისობის ცხრილის შევსებისას მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებების სწორი და ზუსტი თარგმანი, რაც ეროვნული აქტის პროექტის ინიციატორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ჯეროვანი თარგმანი უზრუნველყოფს ეროვნული ნორმატიული აქტის ტექსტის ენობრივი გამართულობის მაღალი სტანდარტის მიღწევას. იგი ხელს უწყობს EU *acquis*-ში გამოყენებული ტერმინების უკეთ გაგებას, მათი ერთგვაროვანი განმარტების პრაქტიკის დამკვიდრებას და ქართულ კანონმდებლობაში ნორმების სრულყოფილად ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან შესაბამისობის ცხრილები დაახლოების ხარისხის შესაფასებლად საბოლოოდ ევროკავშირსაც წარედგინება, სამომავლოდ ასევე მნიშვნელოვანი იქნება ეროვნული ნორმატიული აქტებისა და მათი შესაბამისობის ცხრილების სათანადოდ მომზადება ინგლისურ ენაზეც.

ევროკავშირის მოთხოვნათა ტრანსპოზიციისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ყველა პრაქტიკული საკითხი, მაგ.: ვინ იქნება მოთხოვნათა განმახორციელებელი სუბიექტი ან ნორმის ადრესატი, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მათი შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციისას, აღნიშნული ხომ არ გამოიწვევს მოქმედი ეროვნული წესების ან სტანდარტების ამ მოთხოვნებთან წინააღმდეგობას და ა.შ..

მსგავს გამოწვევებთან გასამკლავებლად, რეკომენდებულია შემუშავდეს ტრანსპოზიციის გეგმა, რომელიც თავიდანვე განსაზღვრავს ეროვნულ კანონმდებლობაში ევროკავშირის მოთხოვნათა ასახვის პოლიტიკის მიმართულებებსა და დაახლოების ვადებს.

თავი 3.1 - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების მნიშვნელობა სამართალშემოქმედების ეტაპზე

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის განმარტებისა და ეროვნულ კანონმდებლობაში მისი სწორი ტრანსპოზიციის პროცესში. CJEU-ს გადაწყვეტილებების მიხედვით განიმარტება დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და მეორადი სამართლის აქტების კონკრეტული დებულებების შინაარსი, მოწმდება წევრი სახელმწიფოების მხრიდან მათი სწორად იმპლემენტაციის საკითხი და სანქციები ეკისრება იმ წევრ ქვეყნებს, რომლებმაც ტრანსპოზიცია დაგვიანებით, არასათანადოდ ან საერთოდ ვერ განახორციელეს. მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო ხასიათი აქვთ და, შესაბამისად, ისინი სამართლის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა.

ასოცირებული და კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში, მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ აქვთ იგივე ძალა, რაც წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით. ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართები პირდაპირ არ ადგენს ეროვნული კანონმდებლობის CJEU-ს პრაქტიკასთან დაახლოების ვალდებულებას. ერთი შეხედვით, ამის გამო შესაძლოა მიჩნეულ იქნეს, რომ ტრანსპოზიციის პროცესში მათი გათვალისწინება სავალდებულო არ არის, თუმცა ევროკავშირის სამართლებრივ აქტზე მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ მასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, შესაძლოა აქტის დებულებების შინაარსი არსებითად შეიცვალოს. ამდენად, მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანია დაახლოების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის.

მაგალითად: ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVI დანართით, დაახლოების ვალდებულება გათვალისწინებულია საბჭოს 92/43/EEC დირექტივასთან „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“. ამ დირექტივის მაგალითზე, ქვემოთ მოცემულია ცხრილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია CJEU-ს გადაწყვეტილებას სამართლებრივი აქტის დებულების შინაარსზე. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია დირექტივის დებულებები, მეორე სვეტში - მათთან დაკავშირებით მიღებული CJEU-ს გადაწყვეტილებები, ხოლო მესამე სვეტში – საქართველოს კანონმდებლობაში ამ ნორმათა ტრანსპოზიცია სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინების და გაუთვალისწინებლობის შემთხვევებში.

ზოგადად, ასეთი ცხრილის მომზადება საჭირო არაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თუ კონკრეტულ დასაახლოებელ აქტთან მიმართებით CJEU-ს მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული, სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებების ანალიზი ხელს შეუწყობს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების სწორად ჩამოყალიბებასა და დაახლოების პროცესის სათანადოდ წარმართვას.

დირექტივის დებულების შინაარსი	CJEU-ს გადაწყვეტილება	დებულებების ტრანსპოზიცია სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით და მის გარეშე
<p>მუხლი 2(3)</p> <p>ამ დირექტივის საფუძველზე მიღებული ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საჭიროებებსა და რეგიონულ ადგილობრივ მახასიათებლებს.</p> <p>მუხლი 4</p> <p>ეს მუხლი განსაზღვრავს დირექტივით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის პროცედურებს.</p>	<p>საქმე: C-371/98</p> <p>განსახილველი საკითხი: ვრცელდება თუ არა დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის დებულება მე-4 მუხლით დადგენილ პროცედურებზე ეროვნულ კანონმდებლობაში ამ მუხლების იმპლემენტაციის დროს?</p> <p>გადაწყვეტილება: არა - მე-4 მუხლის დებულებები ემსახურება ევროპის ეკოლოგიური ქსელის (Natura 2000) შექმნის მიზნით, კონსერვაციას დაქვემდებარებული სპეციალური ტერიტორიების სრული სიის შედგენას. თუმცა, რეგიონული და ადგილობრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ Natura 2000-ის მიზნები ვერ განხორციელდება.</p>	<p>გადაწყვეტილების გათვალისწინების გარეშე:</p> <p>„ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული კონსერვაციის პროცედურების განხორციელებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონული და ადგილობრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები“.</p> <p>გადაწყვეტილების გათვალისწინებით:</p> <p>დირექტივის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება დირექტივის მე-4 მუხლით დადგენილ პროცედურებზე. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული კონსერვაციის პროცედურების განხორციელებისას რეგიონული და ადგილობრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები გათვალისწინებას არ საჭიროებს.</p>
<p>მუხლი 3(1)</p> <p>ეს მუხლი ადგენს ევროპის ეკოლოგიური ქსელის (Natura 2000) შექმნის საფუძველს. მისი ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, იგი</p>	<p>საქმე: C-244/05</p> <p>განსახილველი საკითხი: ევროკავშირის მიერ დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭებამდე თავად ქვეყნის მიერ დაცულად უნდა</p>	<p>გადაწყვეტილების გათვალისწინების გარეშე:</p> <p>კონკრეტული ტერიტორიის დაცვის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მისი “Natura 2000”-ში რეგისტრაციის მომენტიდან.</p>

<p>ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, გამოავლინონ და ევროკავშირს მიაწოდონ ინფორმაცია ქსელში ჩასართავი ტერიტორიებისა და მათი მახასიათებლების შესახებ.</p>	<p>ითვლებოდეს თუ არა აღნიშნული ტერიტორიები?</p> <p>გადაწყვეტილება: დიახ - ტერიტორია მანამდე უნდა იყოს ქვეყნის მიერ დაცულად გამოცხადებული. ამასთან, კონკრეტული ტერიტორიების “Natura 2000”-ის ქსელში ჩართვამდე წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ დაუშვან ამ ადგილებში ისეთი ჩარევა, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს მათ ეკოლოგიურ მახასიათებლებს.</p>	<p>გადაწყვეტილების გათვალისწინებით:</p> <p>ევროკავშირის მიერ კონკრეტული ტერიტორიის დაცვის ვალდებულება წარმოიშობა მისი “Natura 2000”-ში ჩართვის მომენტიდან. ამავდროულად, თუ ტერიტორია აკმაყოფილებს “Natura 2000”-ში რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, სახელმწიფო ვალდებულია, ქსელში ჩართვამდეც გამოცხადებული ჰქონდეს ასეთი ტერიტორია დაცულად და არ დაუშვას მასზე ისეთი ჩარევა, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებს.</p>
---	--	---

საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, რადგან CJEU განმარტავს და აზუსტებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტების კონკრეტული დებულებების შინაარსს და უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში მათ სწორად ტრანსპოზიციას, რეკომენდებულია დასაახლოებელ აქტებთან დაკავშირებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლა და ეროვნული კანონმდებლობის მათი გათვალისწინებით შემუშავება.

თავი 4 - სამართლებრივი დაახლოების პროცესის შემაფერხებელი პრაქტიკა

ტრანსპოზიციის დროს მნიშვნელოვანია შესაფერისი ტექნიკის გამოყენება, რამდენადაც, არასათანადოდ შერჩეულმა მეთოდმა შესაძლოა მთელი პროცესი არასწორად წარმართოს. ქვემოთ განხილულია დაახლოების ეტაპზე გამოვლენილი შემაფერხებელი პრაქტიკის მაგალითები.

ორმაგი რეგულირება - მიემართება იმგვარ შემთხვევებს, როდესაც ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობა მსგავსი საფუძვლებით, თუმცა სხვადასხვა ხერხებით აწესრიგებენ ერთსა და იმავე საკითხს. ასეთ დროს, ტრანსპოზიციის განხორციელებისას რეკომენდებულია შიდა კანონმდებლობის სრულყოფილად შესწავლა და შედარება EU *acquis-ის* მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდეს ევროკავშირისა და ეროვნული სტანდარტების იდენტიფიცირება, და, მეორე მხრივ, გამოირიცხოს ორმაგი რეგულირება.

მსგავსი გამოწვევების თავიდან ასარიდებლად რეკომენდებულია სამართალშემოქმედების პროცესში სისტემური მიდგომის შემუშავება, ყველა ურთიერთდაკავშირებული აქტის იდენტიფიცირება, მათი ერთობლივი ანალიზი და ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება.

მოოქროება - გულისხმობს ევროკავშირის მეორადი სამართლის წყაროების ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციას ამ აქტის დებულებების დარღვევის გარეშე, თუმცა იმაზე ფართო შინაარსით, ვიდრე ამას თავად ევროკავშირის სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს. ამდენად, „მოოქროებას“ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც წევრი სახელმწიფო ევროკავშირის კანონმდებლობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს სცდება და შედეგად, ეროვნულ კანონმდებლობაში უფრო მკაცრ ან/და ფართო რეგულირებას აწესებს. მსგავსი პრაქტიკა ხელს უშლის პოლიტიკის მისაღწევი მიზნების განხორციელებას ან ზედმეტ ტვირთად აწვება ნორმის ადრესატებს. იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირის სამართლის ზოგიერთი აქტი სამართლებრივი დაახლოების მინიმალურ მოთხოვნებს ადგენს, სახელმწიფოებს რჩებათ მოქმედების ისეთი თავისუფლება, როგორცაა დამატებითი პროცედურული ღონისძიებების შემოღების ან იმაზე უფრო მკაცრი სანქციების დაწესების შესაძლებლობა, ვიდრე ეს ევროკავშირის კანონმდებლობითაა განსაზღვრული. შესაბამისად, „მოოქროების“ მაგალითები უმეტესად დირექტივებთან დაახლოებისას გვხვდება, რამდენადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სწორედ ამ შემთხვევაში სარგებლობენ დისკრეციული უფლებამოსილებით, თავად აირჩიონ ტრანსპოზიციის ფორმა და მეთოდი.

უფრო ზუსტად, „მოოქროება“ სახეზეა, როდესაც ეროვნული რეგულირება:

- სცდება დირექტივის მიერ დადგენილ, შესაბამისობისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს;
- აფართოებს დირექტივის რეგულირების სფეროს, შემოაქვს დადგენილზე მეტი მოთხოვნები;
- არასრულად ასახავს ან საერთოდ არ ასახავს დირექტივით გათვალისწინებულ გამონაკლისებს, რითაც ნორმის ადრესატებს არ აძლევს ამ გამონაკლისებით სარგებლობის შესაძლებლობას;
- ძალაში ტოვებს ძველ და უფრო მკაცრს სტანდარტებს;

- ადგენს მოთხოვნებს, რომლებიც პირდაპირ არ არღვევს დირექტივას, თუმცა არ ითვალისწინებს ევროკავშირის უკეთესი რეგულირებისა¹ და მარტივი ადმინისტრირების² პრინციპებს;
- შესასრულებელ მოთხოვნებს იურიდიულ ძალას ანიჭებს დადგენილ ვადაზე ადრე, მაშინ, როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტი მისი იმპლემენტაციისთვის უფრო ხანგრძლივი ვადის დაწესების შესაძლებლობას იძლევა.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ დირექტივის ამოცანები პროპორციული ზომების გამოყენებით მიიღწეოდეს, ანუ იმგვარად, რომ მისმა იმპლემენტაციამ ნორმის ადრესატებისთვის ხარჯის არაგონივრული ზრდა არ გამოიწვიოს.

„მოოქროების“ ტექნიკის გამოყენება, ზოგადად, ნეგატიურად აღიქმება, რადგან იგი იწვევს იმ დამატებითი ტვირთის დაკისრებას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო.

„მოოქროების“ დადგენის ყველაზე მარტივი მეთოდი პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათებისა და შესაბამისობის ცხრილების შემოწმებაა. მათი მეშვეობით აშკარა ხდება, აწესებს თუ არა ახალი ეროვნული რეგულირება უფრო მკაცრ მოთხოვნებს, ვიდრე ეს ევროკავშირის შესაბამისი აქტითაა გათვალისწინებული.

ახალი რეგულირების ამოქმედებამდე, „მოოქროების“ იდენტიფიცირების ერთ-ერთი საშუალება ასევე რეგულირების ზეგავლენის შეფასებაა (RIA).

მსგავსი დებულების მოძიება - გულისხმობს კონკრეტულ საკითხზე ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში მოქმედი წესებისა და მსგავსი შინაარსის მქონე დებულებების მოძიებას და ეროვნულ კანონმდებლობაში მათ იდენტურად ასახვას. ასეთ დროს, უმეტესად, მიმართავენ იმ ქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგებას, რომლებიც იმავე სახელმწიფო ენას იყენებენ, ან რომელთა სამართლებრივი სისტემა და გამოცდილებაც მეტ-ნაკლებად ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების მსურველი ქვეყნის მსგავსია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან არაწევრი ქვეყნის ნორმატიული აქტების

¹ უკეთესი რეგულირება გულისხმობს ევროკავშირის პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების იმგვარ ჩამოყალიბებას, რომელიც მათ მიერ დასახული მიზნების მინიმალური დანახარჯებით მიიღწევის საშუალებას იძლევა. იგი უზრუნველყოფს, რომ დასახული პოლიტიკა მომზადდება, განხორციელდება და განიხილება ღია, გამჭვირვალე ფორმით, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებითა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. ევროკავშირის ქმედებათა ეფექტიანობაში დასარწმუნებლად, ევროკავშირის კომისია პოლიტიკის განხორციელების ციკლის ყოველ ეტაპზე, კონკრეტული ქმედების დაგეგმვიდან მის იმპლემენტაციამდე, აფასებს და ერთმანეთს ადარებს პოლიტიკის, კანონმდებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების მოსალოდნელ და რეალურ გავლენებს.

² მარტივი ადმინისტრირების პრინციპი, ფართო გაგებით, გულისხმობს პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევას მოქალაქეებისა და კერძო სექტორისთვის ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების გზით. ვიწრო გაგებით კი - არსებული რეგულირების შენარჩუნებას მისი ბუნდოვანების შემცირების, ეფექტურობის გაზრდის, აღქმადობისა და სტრუქტურის გაუმჯობესების მეშვეობით.

დებულებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეფასებული არ არის, იქმნება მისი არასწორი იმპლემენტაციის საშიშროება.

ამდენად, აღნიშნული მეთოდის გამოყენება გამართლებული არ არის, რადგან ეს პრაქტიკა ზრდის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეუსაბამობების რისკს.

სტანდარტული პრაქტიკით ხელმძღვანელობა - ამ მეთოდის საშუალებით, დაახლოების მსურველი ქვეყანა შეისწავლის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ წესებს, მოიძიებს ტრანსპოზიციისთვის მის მიერ გამოყენებულ სტანდარტულ პრაქტიკას და მის სამართლებრივ ტექსტებს ნიმუშად იყენებს საკუთარი ეროვნული აქტის *EU acquis*-თან დასაახლოებლად. თუმცა, აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ყველა შემთხვევაში გამართლებული არ არის, ვინაიდან თითოეული ქვეყნის შიდა მართლწესრიგი თავისებური და უნიკალურია. შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში გამოყენებული მიდგომა შესაძლოა არასწორი ან სრულიად არაეფექტიანი აღმოჩნდეს მეორეში.

ამ მეთოდის სათანადოდ განხორციელებისათვის, უპირველესად, მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა, რომელთა სამართლებრივი სისტემაც ეროვნულის მსგავსია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ამ პროცესის კომპლექსური ბუნება და დროის ფაქტორიც. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო აქტების *EU acquis*-თან შეუსაბამობამ და მათმა ტექნიკურმა ხარვეზებმა შესაძლებელია მეორე ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში მათი არასწორი ტრანსპოზიცია გამოიწვიოს.

სიტყვასიტყვითი ტრანსპოზიცია – ზოგადად, სამართლებრივი დაახლოების ვალდებულება შიდა კანონმდებლობაში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შინაარსის ასახვას გულისხმობს. ამდენად, თუ სიტყვასიტყვითი ტრანსპოზიცია იწვევს ეროვნული ნორმის ბუნდოვანებას, ქმნის მისი არასწორი ინტერპრეტაციის საშიშროებას, არ ითვალისწინებს ეროვნული სამართლებრივი სისტემის თავისებურებებს ან სრულყოფილად არ ასახავს ევროკავშირის მოთხოვნებს, ამ ტექნიკის გამოყენება მიზანშეწონილი არაა.

გამონაკლისს წარმოადგენს ტერმინოლოგია და განმარტებები – როგორც წესი, ევროკავშირის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ტერმინთა დეფინიციები და სხვა განსაზღვრებები ყველა წევრ სახელმწიფოში მათი ერთგვაროვანი გამოყენების მიზანს ემსახურება. ეროვნულ კანონმდებლობაში განმარტებების ზუსტი ტრანსპოზიცია აუცილებელია ევროკავშირის სამართლებრივ პრაქტიკასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

თავი 5 - შესაბამისობის ცხრილის შევსების პრაქტიკული რეკომენდაციები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ერთიანი სტანდარტებისა და მიდგომების შემუშავების მიზნით, განხილულია ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების პროცესში გასათვალისწინებელი პრაქტიკული რჩევები. აღნიშნული რეკომენდაციები მიემართება ტრანსპოზიციის განმსაზღვრელი ნებისმიერი აქტიდან გამომდინარე დაახლოების ვალდებულებებს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგ., ასოცირების შესახებ შეთანხმება, ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი, ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება, ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებები და ევროკავშირთან დადებული ნებისმიერი სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომელთა მიერ გათვალისწინებული სამართლებრივი დაახლოების ვალდებულებათა შესრულებაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, ითვალისწინებს შესაბამისობის ცხრილის მომზადებას.

ცხრილის ერთ სვეტში მითითებულია შესაბამისობის ცხრილის შევსებისას ყველაზე ხშირად გამოვლენილი ხარვეზები, ხოლო მეორე სვეტში მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც გამიზნულია აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

	გამოვლენილი ხარვეზები	პრაქტიკული რეკომენდაციები
1.	შესაბამისობის ცხრილის არასრულად შევსება - როდესაც შესაბამისობის ცხრილში სრულყოფილად არ აისახება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ყველა დებულება.	შესაბამისობის ცხრილის შევსების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია მასში (ცხრილის მე-2 სვეტში) აისახოს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სრული ტექსტი, მათ შორის, თუნდაც ისეთი ნაწილები, რომლებიც ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არ არის სავალდებულო. მაგ., დანართები, ცხრილები, სხვადასხვა ჩამონათვალი, კორელაციის ცხრილი და ა.შ. აქტის პრეამბულა ცხრილში ასახვას არ საჭიროებს.
2.	ევროკავშირის აქტის რამდენიმე დებულების შესაბამისობის ცხრილის ერთ გრაფაში მოქცევა - როდესაც ევროკავშირის აქტის კონკრეტული მუხლის პუნქტები/ქვეპუნქტები/აბზაცები შესაბამისობის ცხრილში ერთმანეთისგან არ არის გამოყოფილი და ერთ გრაფაშია	აღნიშნული პრაქტიკა იწვევს სხვადასხვა შინაარსისა და დაახლოების სტატუსის მქონე ნორმების თავმოყრას ცხრილის ერთ გრაფაში. რაც არასწორია პრაქტიკული თვალსაზრისით. აღნიშნული პრაქტიკა ართულებს შესაბამისობის სტატუსის ინდივიდუალურად შეფასების

	<p>მოქცეული. შედეგად კი, ასეთი დებულებების გასწვრივ, ცხრილის მე-6 ველში მითითებულია შესაბამისობის საერთო სტატუსი, მაგ., „სრულად შესაბამისი“, მაშინ, როდესაც ამ ნორმებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე შესაძლებელია ნაწილობრივ შესაბამისი, შეუსაბამო ან სულაც, არასავალდებულო იყოს.</p>	<p>შესაძლებლობას. ასევე, ხშირად იწვევს ცხრილში ეროვნული და ევროკავშირის დებულებების ვიზუალურად ერთმანეთისგან აცდენას. ამიტომ, ცხრილის შევსებისას ევროკავშირის აქტის მუხლები, ასევე მუხლის ცალკეული დებულებები, ჰორიზონტალური ხაზით უნდა გამოიყოს ერთმანეთისგან და თითოეულის გასწვრივ მიეთითოს დაახლოების შესაბამისი სტატუსი.</p> <p>შესაბამისობის ცხრილში ასევე მიზანშეწონილია, გამოიყოს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მუხლების ცალკეული პუნქტები/ქვეპუნქტები, როცა ამას საჭიროება მოითხოვს (მაგალითად, მუხლის შინაარსის კომპლექსურობა ან მისი ქვეპუნქტების მოცულობა, ტრანსპოზიციის მიზნებისთვის მათი სხვადასხვა ბუნება (მაგ., როდესაც ზოგი ქვეპუნქტი სავალდებულოა, ზოგი კი - არა) და ა.შ.).</p> <p>წინააღმდეგ შეთხვევაში, ცხრილის ამ ფორმით შევსება მომავალში ასევე გამოიწვევს ელექტრონულ პლატფორმაში (www.aa-monitoring.ge) - სამართლებრივი დაახლოების მონაცემთა ბაზაში, სტატისტიკური მაჩვენებლების აღრევას, რადგან ამ შემთხვევაში პროგრესის გრაფაში არაზუსტი მონაცემები იქნება ასახული და, აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდება დაახლოების რეალური პროცენტის გამოთვლა.</p>
<p>3.</p>	<p>ცხრილში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულების ყველა აზნაცის ერთ გრაფაში მოქცევა - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დასახლოებელ ნორმას აქვს</p>	<p>როდესაც ევროკავშირის აქტის დებულების სხვადასხვა აზნაცებს ცხრილში შესაბამისობის განსხვავებული სტატუსი აქვთ, ან ერთი მათგანი სავალდებულო ტრანსპოზიციას ექვემდებარება, მეორე</p>

	<p>რამდენიმე აბზაცი, რომელთაგან ზოგი ტრანსპოზიციისთვის სავალდებულოა, ზოგი კი - არა, ასევე როდესაც მათ გააჩნიათ სხვადასხვა ბუნება, აქვთ შესაბამისობის განსხვავებული სტატუსი და ა.შ., ხოლო ცხრილიდან არ იკვეთება რომელიმე აბზაცის არასავალდებულოობის ან მის ტრანსპოზიციაზე უარის თქმის მიზეზი.</p>	<p>კი - არა, ან რომელიმე აბზაცი დისპოზიციური ბუნებისაა, რის გამოც კანონმდებელმა მის ტრანსპოზიციაზე განზრახ უარის თქმა გადაწყვიტა და ა.შ., უმჯობესია, ისინი ერთმანეთისგან რაიმე ფორმით გაიმიჯნოს, მაგ., ცხრილში ცალ-ცალკე ველებად გამოიყოს.</p> <p>თუმცა ალტერნატივის სახით, მსგავს შემთხვევებში ასევე დასაშვებია ასეთი ნორმის ერთ გრაფაში მოქცევა, თუ ცხრილის შენიშვნების ველში განიმარტება ტრანსპოზიციის მიზნებისთვის ამ ნორმის ცალკეული აბზაცებისადმი განსხვავებული მიდგომების არსებობის და აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.</p>
<p>4.</p>	<p>შესაბამისობის ცხრილში კომენტარის ველის შევსებისგან თავის შეკავება - როდესაც ეროვნული აქტით განსაზღვრული კონკრეტული დებულება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ნორმასთან შეუსაბამო, არასავალდებულო ან ნაწილობრივ შესაბამისია, თუმცა ცხრილის შენიშვნების ველში აღნიშნულის მიზეზები განმარტებული არ არის.</p>	<p>როდესაც ეროვნული აქტით განსაზღვრული კონკრეტული დებულება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ნორმასთან შეუსაბამო, არასავალდებულო ან ნაწილობრივ შესაბამისია, შესაბამისობის ცხრილის მე-7 ველში, შენიშვნების გრაფაში, ყოველთვის უნდა განიმარტოს აღნიშნულის მიზეზი.</p> <p>ამასთანავე, დაახლოების ნებისმიერი ხარისხის არსებობისას, თუ კონკრეტული დებულება ჩამოყალიბდა დირექტივის ტექსტის პრეამბულის, რბილი სამართლის ინსტრუმენტების, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, საუკეთესო პრაქტიკის ან/და სხვა მოცემულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შენიშვნების ველში კომენტარის სახით ამის შესახებაც აღინიშნოს.</p>

<p>5.</p>	<p>კომენტარის გაკეთების აკრძალვა „სრულად შესაბამისობის“ შემთხვევაში - როდესაც შესაბამისობის ცხრილის შენიშვნების ველში დაუშვებლად მიიჩნევა კომენტარის გაკეთება იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სამართლებრივი ნორმის სტატუსი “სრულად შესაბამისია”.</p>	<p>ცხრილში შენიშვნის დართვა დასაშვებია უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში. მაშინაც კი, როდესაც ეროვნული ნორმატიული აქტის/პროექტის ნორმა სრულად შეესაბამება ევროკავშირის დებულებას, მიზანშეწონილი არაა გამოირიცხოს შენიშვნების ველში კომენტარის გაკეთება. ეს უკანასკნელი გვაწვდის საჭირო დამატებით ინფორმაციას კონკრეტულ დებულებასთან ან მის მიერ მოწესრიგებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი იყოს შესაბამისობის შეფასებისთვის, აგრეთვე, სამომავლოდ, თვით-სკრინინგის და ევროკავშირთან მოლაპარაკებების ეტაპზე.</p>
<p>6.</p>	<p>სხვა აქტზე რეფერირება კომენტარის ველის მეშვეობით - როდესაც შესაბამისობის ცხრილის შენიშვნების ველში კომენტარის სახით სხვა აქტზე ხდება მითითება და აღინიშნება, რომ ევროკავშირის აქტის მოცემული დებულების შინაარსი ამ უკანასკნელით წესრიგდება.</p>	<p>ასეთ შემთხვევაში, სხვა აქტზე კომენტარის სახით რეფერირების ნაცვლად, ცხრილის მე-5, ეროვნული “ნორმის ტექსტის”, ველში უნდა აისახოს მითითებული აქტის ის დებულებები, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის კონკრეტული ნორმის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ასეთი ეროვნული აქტის დასახელება, შესაბამისი ნუმერაციით, ასევე მოცემული უნდა იყოს ცხრილის თავში, “საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტების” ჩამონათვალში.</p>
<p>7.</p>	<p>აქტის არასათანადო ვერსიასთან დაახლოება - ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არაკონსოლიდირებული ან გაუქმებული ვერსიის ტრანსპოზიცია.</p>	<p>ზოგადად, რეკომენდებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ელექტრონულ ბაზაში (EUR-LEX) კონკრეტული დოკუმენტის უახლესი კონსოლიდირებული ვერსიის მოძიება და ეროვნული კანონმდებლობის მასთან დაახლოება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეროვნული</p>

		<p>ინტერესებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, აღნიშნული პრაქტიკის განხორციელება ვერ ხერხდება, ან, სულაც, მიზანშეწონილი არ არის.</p> <p>მაგალითად, როდესაც ეროვნულ დონეზე ყალიბდება სრულიად ახალი ინსტიტუტი ან სამართლებრივი რეგულირება - ასეთ დროს, ევროკავშირის უახლესი აქტის ტრანსპოზიციაში შესაძლოა თავდაპირველად მიზანშეწონილი იყოს მისი პირველადი ვერსიით გათვალისწინებულ მოწესრიგებასთან დაახლოება. მსგავს პრაქტიკას შესაძლოა სხვა მიზეზებიც დაედოს საფუძვლად.</p> <p>ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ასეთი მიზეზები იყოს საპატიო, ხოლო ეს გადაწყვეტილება - კარგად დასაბუთებული ცხრილის შენიშვნების გრაფაში.</p>
<p>8.</p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრიალის საბჭოს გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობა - როდესაც ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრიალის საბჭოს გადაწყვეტილებით შეცვლილია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებები, ხოლო პასუხისმგებელი უწყება ახორციელებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ტრანსპოზიციას ამ ცვლილებების გაუთვალისწინებლად.</p>	<p>ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრიალის საბჭოს გადაწყვეტილებით ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებების ცვლილებისას ყოველთვის მიზანშეწონილია ევროკავშირის აქტების ადაპტირებული (ამ გადაწყვეტილების შესაბამისად შეცვლილი) ვერსიის ტრანსპოზიცია. ამასთან, სასურველია, შეცვლილი დებულებები თვალსაჩინოდ მიეთითოს შესაბამისობის ცხრილში.</p> <p>გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ დაახლოება უნდა განხორციელდეს ასეთი ადაპტირებული აქტის ბოლო, კონსოლიდირებულ ვერსიასთან. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისობის ცხრილსა და განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ ტრანსპოზიცია ხორციელდება</p>

		<p>ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრიალის საბჭოს კონკრეტული გადაწყვეტილებით ადაპტირებულ, კონკრეტული თარიღის შესაბამისად კონსოლიდირებულ ევროკავშირის აქტთან.</p> <p>იგივე პრაქტიკა უნდა გავრცელდეს სხვა შემთხვევებზეც, როდესაც ცალკეული, საქართველოსთვის სავალდებულო გადაწყვეტილებით, ადაპტირდება ევროკავშირის ის აქტი, რომელთან დაახლოებაც ხორციელდება მოცემულ შემთხვევაში.</p>
<p>9.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დასახელების არაზუსტად/არასრულად თარგმნა - ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სათაურის თარგმნა ტრანსპოზიციის ვალდებულების განმსაზღვრელი აქტისგან განსხვავებული ფორმულირებით ან მისი არაერთგვაროვანი მითითება განმარტებით ბარათსა და შესაბამისობის ცხრილში.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტების დასახელებათა ერთგვაროვნად მითითება აუცილებელია ბუნდოვანების თავიდან აცილებისა და დაახლოების სწორი პრაქტიკის დანერგვისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია შესაბამისობის ცხრილსა და პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში ევროკავშირის აქტის სათაური მიეთითოს იმგვარი ფორმულირებით, როგორც ამას ტრანსპოზიციის ვალდებულების განმსაზღვრელი აქტი აყალიბებს (მაგ, ასოცირების შესახებ შეთანხმება, ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი, ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება, ქვეკომიტეტის გადაწყვეტილება და ა.შ.).</p> <p>აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც იცვლება თავად ევროკავშირის სამართლებრივი აქტი ან მისი სათაური და საქართველო სწორედ ამ შეცვლილ ვერსიას უახლოვდება.</p> <p>გამონაკლისს წარმოადგენს ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც აქტის სათაურში აშკარა კორექტურული ან</p>

		<p>თარგმანის ხარვეზია, ან/და როდესაც დასახელება შეცდომით არასრულადაა თარგმნილი. მაგალითად, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართში მითითებულია - “ევროკავშირის პარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა”. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია “ევროსაბჭოს” ჩანაცვლება “ევროკავშირის საბჭოთი” იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშნული შეცდომა დაშვებულია ტრანსპოზიციის ვალდებულების დამდგენ დოკუმენტში.</p>
<p>10.</p>	<p>ცხრილში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის პირველადი ვერსიის სათაურის მითითება - ევროკავშირის სამართლებრივი აქტის კონსოლიდირებულ ვერსიასთან ან ჩამნაცვლებელ აქტთან დაახლოების მიუხედავად, შესაბამისობის ცხრილში ევროკავშირის სამართლებრივი აქტის პირველადი სახელწოდების მითითება.</p>	<p>ევროკავშირის სამართალი დინამიურად განიცდის სტრუქტურულ და შინაარსობრივ სახეცვლილებებს. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ძველი აქტები ნაცვლდება ახლით. ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ჩამნაცვლებელ ან მის უახლეს ვერსიასთან დაახლოებისას, მიზანშეწონილია, როგორც შესაბამისობის ცხრილში, ასევე განმარტებით ბარათში მიეთითოს სწორედ ამ უკანასკნელის სახელწოდება და კონსოლიდაციის თარიღი, რათა შესაძლებელი გახდეს იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი წლის ვერსიასთან მოხდა დაახლოება.</p> <p>დამატებით, საჭიროა როგორც განმარტებით ბარათში, ასევე შესაბამისობის ცხრილის სქოლიოში მიეთითოს ევროკავშირის უშუალოდ იმ აქტის დასახელებაც, რომელთან დაახლოებაც განსაზღვრული იყო ტრანსპოზიციის ვალდებულების დამდგენი დოკუმენტით (მაგ., ასოცირების შესახებ შეთანხმებით), რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირველად და ამ აქტის ჩამნაცვლებელ ან კონსოლიდირებულ ვერსიებს შორის კავშირის მარტივად იდენტიფიცირება.</p>

<p>11.</p>	<p>დასახლოებული კონსოლიდაციის მიუთითებლობა - ევროკავშირის ტრანსპოზიციისას ბარათში და ცხრილში არ კონსოლიდაციის მითითება.</p> <p>აქტის თარიღის როდესაც აქტის განმარტებით შესაბამისობის ხდება მისი თარიღზე</p>	<p>აღნიშნული პრაქტიკა ართულებს და ხშირად შეუძლებელს ხდის ევროკავშირის აქტის იმ ვერსიის მიკვლევადობას, რომელსაც კონკრეტული ეროვნული აქტი უახლოვდება. ეს კი უარყოფითად აისახება შეფასების სწორად განხორციელებაზე.</p> <p>ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ევროკავშირის აქტში ცვლილებები მისი ტრანსპოზიციის შემდგომად განხორციელდეს, თარიღზე მითითება კი მნიშვნელოვანია როგორც შესაბამისობის შეფასების პროცესში, ასევე სამომავლოდ, თვით-სკრინინგის და ევროკავშირთან მოლაპარაკებების ეტაპზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესასრულებელი ან ახალი მოთხოვნების მარტივად იდენტიფიცირებას.</p>
<p>12.</p>	<p>აღმასრულებელი ან დელეგირებული აქტების ტრანსპოზიციისას შესაბამისობის ცხრილის მოუმზადებლობა - როდესაც ხორციელდება ევროკავშირის აღმასრულებელი ან დელეგირებული აქტების ეროვნულ სამართალში ასახვა, ზოგიერთ შემთხვევაში ინიციატორი უწყება თავს იკავებს შესაბამისობის ცხრილის მომზადებისგან იმ მიზეზით, რომ ისინი არასაკანონმდებლო აქტებს წარმოადგენენ.</p>	<p>ევროკავშირში სამართლებრივი ურთიერთობები, გარდა საკანონმდებლო აქტებისა, ხშირად რეგულირდება არასაკანონმდებლო ინსტრუმენტებითაც. ამ მიზნით, ევროკავშირის პარლამენტი და საბჭო კომისიას გადასცემს კონკრეტული საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილებას. ხშირ შემთხვევაში ასეთი აქტები მნიშვნელოვან ტექნიკურ ან პროცედურულ ასპექტებს მიეძღვრება. მაგ., <i>აღმასრულებელი აქტებით</i> ხორციელდება საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესების ყველა წევრ ქვეყანაში ჰარმონიზებული იმპლემენტაცია. <i>დელეგირებული აქტებით</i> კომისია ავსებს ან ცვლის საკანონმდებლო აქტის კონკრეტულ, არაარსებით ელემენტებს, ხოლო დელეგირების საფუძველი და ფარგლები გათვალისწინებულია</p>

		<p>უფლებამოსილების დამდგენი ძირითადი საკანონმდებლო აქტით.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ დელეგირებული და აღმასრულებელი აქტები, თავისი ბუნებით, არასაკანონმდებლო, თუმცა შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტებია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მათთან დაახლოება განსაზღვრულია ევროკავშირთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებით, საკანონმდებლო აქტების მსგავსად, შესაბამისობის ცხრილი მათი ტრანსპოზიციის შემთხვევაშიც უნდა მომზადდეს.</p>
<p>13.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ტრანსპოზიცია დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინების გარეშე - ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოქმედი რედაქციის ტრანსპოზიცია მაშინაც კი, თუ ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში მისი გაუქმება ან მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა იგეგმება.</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობა მუდმივად განახლებადია – სამართლებრივი აქტები პერიოდულად უქმდება და ახლით ნაცვლდება. შიდა ნორმატიული აქტების ხშირი გადასინჯვის თავიდან ასაცილებლად, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მნიშვნელოვანია როგორც მოქმედი ეროვნული მოწესრიგების საფუძვლიანი შესწავლა, ასევე ევროკავშირის დასაახლოებელ აქტში დაგეგმილი შესწორებების ანალიზი და განსახორციელებელი ეროვნული ღონისძიებების აღნიშნულის შესაბამისად დაგეგმვა.</p> <p>ტრანსპოზიციის პროცესში ევროკავშირის კონკრეტული აქტი შეიძლება მოქმედი იყოს, თუმცა მისი ტექსტიდან ან ნებისმიერი სხვა გარემოებიდან იკვეთებოდა, რომ უახლოეს მომავალში მისი გაუქმება ან მასში ცვლილებების განხორციელება დაგეგმილი. ასეთ შემთხვევაში, რესურსის დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია გონივრული ვადების</p>

		<p>ფარგლებში მოცდა ახალი აქტის მიღებამდე ან ამ ცვლილებების შეტანამდე (იმ პირობით, თუ გადავადება არ დაარღვევს ევროკავშირთან დადებულ სხვა შეთანხმებას, მაგ., ფინანსური დახმარების შესახებ). აღნიშნული საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დინამიური დაახლოების ვალდებულებისა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსიდან გამომდინარე.</p>
<p>14.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივ აქტში შესული ცვლილებების გათვალისწინებლობა - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივ აქტში გარკვეული ცვლილებებია შესული, თუმცა ისინი ჯერ ასახული არ არის ამ აქტის კონსოლიდირებულ ვერსიაში, ხოლო უწყება ტრანსპოზიციისას სრულიად უგულებელყოფს აღნიშნულ ძალაში შესულ ცვლილებებს.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ელექტრონულ ბაზაში (EUR-LEX - www.eur-lex.europa.eu) შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ევროკავშირის სამართლებრივ აქტში როგორც დაგეგმილ, ასევე უკვე განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. სამართლებრივი დაახლოებისას აღნიშნული ინფორმაციის მოძიება ინიციატორი უწყების ვალდებულებას წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი ტრანსპოზიციის სრულყოფილად განხორციელებაზე.</p> <p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ცვლილებების ფორმალურად მიღება, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მათი გამოქვეყნება და თავად კონსოლიდაციის ეტაპი საკმაოდ შრომატევადი პროცესია. შესაბამისად, ამ აქტების კონსოლიდაცია მყისიერად არ ხდება, ვინაიდან შესული ცვლილებები მათ კონსოლიდირებულ ვერსიაში ასახვამდე სხვადასხვა ფორმალური საფეხურების გავლას საჭიროებს, რისთვისაც კონკრეტული, წინასწარ გაწერილი ვადები არ არსებობს.</p>

		<p>თუკი ინიციატორი უწყებისთვის ცნობილია, რომ ევროკავშირის სამართლებრივ აქტში გარკვეული ცვლილებებია შესული, მაშინ, ბუნებრივია, უმჯობესია ეს ცვლილებები ეროვნული სამართლებრივი აქტის პროექტში აისახოს. ამასთან, შესაბამისობის შემფასებელი უწყებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მიზანშეწონილია, ასეთი ცვლილებების და მათი განმახორციელებელი აქტის შესახებ მიეთითოს შესაბამისობის ცხრილში. უფრო კონკრეტულად, შესაბამისობის ცხრილის პირველივე გრაფაში („ქუდში“) სქოლიოს სახით აღინიშნოს ცვლილებების შემტანი ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სრული ოფიციალური დასახელება (თავად ამ აქტის თარგმანი სავალდებულო არ არის). ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მათი ასახვა მოცემულ მომენტში ვერ ხერხდება ან მიზანშეწონილად არ მიიჩნევა, უწყებამ განმარტებით ბარათში ან შესაბამისობის ცხრილის ამავე სქოლიოში უნდა დაასაბუთოს აღნიშნულის მიზეზები.</p> <p>იგივე პრაქტიკა უნდა გავავრცელოთ იმ შემთხვევებზეც, როდესაც თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც ჯერ კიდევ არ არის გასული სამართლებრივ აქტში (მაგ., დირექტივაში) შესული ცვლილებების იმპლემენტაციისთვის განკუთვნილი ვადა და ამის გამო ინიციატორი უწყება თავს იკავებს ცვლილებების ტრანსპოზიციისგან.</p>
15.	<p>ცხრილის მე-5 ველში ეროვნული ნორმის ტექსტის არასწორი რედაქციის მითითება - როდესაც შესაბამისობის ცხრილის მე-5 - ეროვნული ნორმის ტექსტის ველში,</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ ინიციატორი უწყება ცხრილში არ ასახავს შესაბამისი პროექტით დაგეგმილ ცვლილებას, ევროკავშირის ნორმის მოთხოვნებთან</p>

	<p>ასახულია სამართლებრივი აქტის კონკრეტული დებულების მოქმედი რედაქცია, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ამ ნორმაში ცვლილება შედის.</p>	<p>მისი შესაბამისობის შეფასება უბრალოდ ვერ მოხერხდება. ამდენად, თუკი წარმოდგენილი პროექტით კონკრეტულ ეროვნულ დებულებაში ცვლილების შეტანაა დაგეგმილი, ასეთ დროს შესაბამისობის ცხრილში უნდა აისახოს არა ამ დებულების მოქმედი, არამედ სწორედ პროექტით გათვალისწინებული რედაქცია, რათა შემოწმდეს, შესაბამისობაშია თუ არა დაგეგმილი ცვლილება ევროკავშირის სამართლებრივი აქტის მოთხოვნებთან.</p> <p>გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული აქტი ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომლებიც ასახულია აქტის კონსოლიდირებულ ვერსიაში, თუმცა ისინი ჯერ არ არის ძალაში შესული (საკანონმდებლო მაცნეზე განთავსებულ აქტში მოცემულია ნორმა და მითითებულია მის სამომავლო ამოქმედებასთან დაკავშირებით), მიზანშეწონილია შესაბამისობის ცხრილის ნორმის ტექსტის გრაფაში ამ დებულებათა მოქმედ ვერსიასთან ერთად ასევე აისახოს მათი სამომავლო რედაქცია კომენტარის ველში მათი ძალაში შესვლის თარიღზე მითითებით.</p>
<p>16.</p>	<p>ტერმინთა განმარტების არასათანადო ტრანსპოზიცია - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ტერმინები არასრულყოფილად, არაერთგვაროვნად ან საერთოდ არ აისახება ეროვნულ კანონმდებლობაში.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესაბამის დებულებებთან სათანადოდ დაახლოება დიდწილად ტერმინთა სწორ ტრანსპოზიციაზეა დამოკიდებული. ამდენად, ამ მიმართულებით დაშვებულმა შეცდომებმა შესაძლოა შეაფერხოს დაახლოების პროცესი, შედეგების გამოსწორებას კი მრავალი წელი და მეტი რესურსის დახარჯვა დასჭირდეს.</p> <p>ტრანსპოზიციის პროცესის არასათანადო წარმართვა შეიძლება</p>

		<p>სამართლებრივი ან ტექნიკური ტერმინოლოგიის ასახვისას დაშვებული შეცდომის, მშობლიურ ენაში შესაბამისი ტერმინების ნაკლებობის ან მათი არასწორი თარგმანის შედეგი იყოს.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ ტერმინთა შინაარსის დავიწროება ან გაფართოება რეკომენდებული არ არის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს, ერთი მხრივ, „მოოქროებისა“ და, მეორე მხრივ, მცირე დროში კანონმდებლობის ხშირი ცვლილების რისკი. შესაბამისად, თარგმნისა და განმარტების ეტაპზე სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.</p> <p>ტერმინთა სწორი ტრანსპოზიციისთვის მიზანშეწონილია, რომ იურისტებმა და ლინგვისტებმა ევროკავშირის სამართლებრივი აქტების თარგმნის ეტაპიდანვე ერთად იმუშაონ.</p>
17.	<p>ტერმინთა არაერთგვაროვანი განმარტება - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივ აქტში მოხსენიებული ერთი და იგივე ტერმინი ეროვნული სამართლებრივი აქტის სხვადასხვა დებულებაში განსხვავებულადაა ფორმულირებული.</p>	<p>ტერმინთა განმარტების მიზანი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მათი ერთნაირი, ჰარმონიზებული, გამოყენების დამკვიდრებაა. საკანონმდებლო ენის ერთგვაროვნების შენარჩუნებისა და ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით, ევროკავშირის სამართლებრივ აქტში მოცემული ერთი და იგივე ტერმინი ეროვნული საკანონმდებლო აქტის სხვადასხვა დებულებაში იდენტურად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.</p>
18.	<p>ევროკავშირის აქტის მიერ რეფერირებული სხვა სამართლებრივი აქტის ტრანსპოზიციის უგულებელყოფა - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტი კონკრეტული ტერმინის, პრინციპის, პროცედურის და სხვა განმარტებისთვის მითითებას აკეთებს მეორე აქტზე,</p>	<p>ევროკავშირის აქტთან დაახლოებისას მნიშვნელოვანია განხორციელდეს მისი დებულებების სრულყოფილად ტრანსპოზიცია. ხშირ შემთხვევაში, რეფერირებული აქტი განმარტავს ისეთ ტერმინს, პროცედურას თუ პრინციპს, რომელიც მნიშვნელოვანი და ზოგჯერ აუცილებელიც კია დასახლოებული აქტის შინაარსის ჯეროვნად გაგებისა და</p>

	<p>რომელიც არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით. ხშირ შემთხვევაში ასეთ დროს ცხრილში შესაბამისობის სტატუსი განსაზღვრულია, როგორც "სრულად შესაბამისი" ან „არასავალდებულო“, ხოლო შენიშვნების ველში გაკეთებული კომენტარი მიუთითებს, რომ რეფერირებული აქტის ნორმის ტრანსპოზიცია არ ჩაითვალა სავალდებულოდ, ვინაიდან მისი განმსაზღვრელი აქტი ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის.</p>	<p>მისი ეროვნულ სამართალში სათანადოდ იმპლემენტაციისთვის. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია ასეთი ნორმების ტრანსპოზიცია ევროკავშირის იმ აქტის შესაბამისად, რომელზეც მიუთითებს დასაახლოებელი აქტი, მიუხედავად იმისა, სავალდებულოა თუ არა ის საქართველოსთვის.</p>
<p>19.</p>	<p>მითითება აქტის ტრანსპოზიციის ნაცვლად - როდესაც ეროვნულ კანონმდებლობაში პირდაპირი მითითება კეთდება ევროკავშირის სამართლებრივ აქტზე, ნაცვლად იმისა, რომ განხორციელდეს მისი ტრანსპოზიცია.</p>	<p>აღნიშნული პრაქტიკა აფერხებს დაახლოების პროცესის სრულყოფილად წარმართვას. ვინაიდან ევროკავშირის სამართლებრივი აქტები არაწევრ სახელმწიფოებში პირდაპირ არ მოქმედებს, მითითების ამგვარი ფორმა ამ აქტებს და მათ დებულებებს ეროვნული მართლწესრიგის განუყოფელ ნაწილად ვერ გადააქცევს და, აქედან გამომდინარე, მათთან სათანადო დაახლოება ვერ მოხდება. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მითითებული ევროკავშირის აქტი არც კი ითარგმნება, რაც ნორმის ადრესატებს ართმევს მათი მშობლიურ ენაზე გაცნობის შესაძლებლობას. აღნიშნული გაუმართლებელია, რადგანაც სამართლებრივი აქტი საქართველოში იურიდიულ ძალას ვერ შეიძენს, თუ იგი არ არის მიღებული და სახელმწიფო ენაზე გამოქვეყნებული შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურების დაცვით.</p>

		<p>გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ბუნება, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია ისინი სამომავლოდ შეიცვალონ, გაუქმდნენ ან ჩანაცვლდნენ სხვა ტიპის აქტით, რაც შემდგომში ეროვნულ კანონმდებლობაში გამოიწვევს მიმთითებელი ნორმის კონკრეტული შინაარსისგან მოკლებული ჩანაწერის არსებობას.</p>
<p>20.</p>	<p>ევროკავშირის აქტის ნორმების ნუმერაციის ქართულ ენაზე თარგმნა - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ქართულენოვან თარგმანში ხშირად დებულების პუნქტები/ქვეპუნქტები დანომრილია ქართული ანბანის შესაბამისი სიმბოლოებით („ა“, „ბ“, „გ“).</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის დებულებების თარგმნისას, მიზანშეწონილი არ არის პუნქტებისა და ქვეპუნქტების ნუმერაციის თარგმნა. საჭიროა ისინი ცხრილში აისახოს იმგვარად, როგორც ეს თავად ევროკავშირის სამართლის აქტშია მოცემული. მაგ., როდესაც ნორმის აღნიშვნისთვის გამოყენებულია ლათინური ანბანის სიმბოლოები („a“, „b“, „c“), მათი ქართულ ენაზე თარგმნა არ არის რეკომენდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იწვევს ევროკავშირის აქტის ტექსტის მოძიებისა და აღქმის გართულებას.</p>
<p>21.</p>	<p>ცხრილში ეროვნული აქტის არასათანადო ნუმერაცია - როდესაც ცვლილებები შედის მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ აქტში და შესაბამისობის ცხრილის მე-4 ველში (ეროვნული აქტის მუხლი/პუნქტი/ნაწილი) მიეთითება მხოლოდ ცვლილების პროექტის ან მხოლოდ იმ დებულების ნომერი, რომელიც იცვლება.</p>	<p>შესაბამისობის ცხრილის სწორად მომზადების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია ყველა ველის სათანადოდ შევსება. ცხრილის მე-4 სვეტში, რომელშიც აღნიშნება ცვლილების შემტანი ეროვნული აქტის მუხლის/პუნქტის/ნაწილის ნომერი, ფრჩხილებში ასევე უნდა მიეთითოს იმ ნორმის ნომერიც, რომელშიც ცვლილება განხორციელდა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილების პროექტის 1-ელი მუხლით მოქმედი ეროვნული აქტის მე-8 მუხლი ახალი რედაქციით ყალიბდება, შესაბამისობის ცხრილის მე-4 ველში ნუმერაცია უნდა აღინიშნოს შემდეგი ფორმით - 1(„8“).</p>

22.	<p>ცხრილში ნუმერაციის არასათანადო მითითება - როდესაც შესაბამისობის ცხრილის პირველი და მე-4 ველები ზუსტად არ მიუთითებს დებულების მუხლსა და პუნქტზე/ქვეპუნქტზე.</p>	<p>შესაბამისობის ცხრილის პირველი და მე-4 ველები ზუსტ წარმოდგენას უნდა გვიქმნიდეს შესაფასებელი აქტის კონკრეტულ დებულებაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, ამ ველებში სრულად მიეთითოს სამართლებრივი აქტის მუხლის, პუნქტისა და ქვეპუნქტის ნომრები.</p> <p>დასაშვებია პუნქტისა და ქვეპუნქტის ნუმერაცია ნორმის ტექსტის გრაფაშიც განმეორდეს.</p>
23.	<p>ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციის განმსაზღვრელი დებულებების ტრანსპოზიცია - ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ისეთი დებულებების ტრანსპოზიცია, რომლებიც უშუალოდ ევროკავშირის კონკრეტულ ინსტიტუტებს ეხება.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ზოგიერთი დებულება მხოლოდ კონკრეტულ ინსტიტუტებს ან სამსახურებს მიემართება (მაგ., ევროკავშირის პარლამენტი, კომისია, ომბუდსმენი და ა.შ.) და ცალსახად განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს. ასეთი დებულებები სახელმწიფოების მხრიდან რაიმე ღონისძიების განხორციელებას არ მოითხოვს, აქედან გამომდინარე, მათთან დაახლოება საჭირო არ არის.</p> <p>თუმცა, მნიშვნელოვანია ამგვარი ნორმების ინდივიდუალურად შეფასება, რათა მათი არასავალდებულო ხასიათი ცალსახად დადასტურდეს მათი შინაარსიდან და ნორმის ადრესატებიდან გამომდინარე. ამასთანავე, ნორმის „არასავალდებულოდ“ მიჩნევის შემთხვევაში, ცხრილის შენიშვნების ველში საჭიროა ამომწურავად განიმარტოს აღნიშნულის მიზეზი.</p>
24.	<p>წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული დებულებების ტრანსპოზიციისგან თავის არიდება - როდესაც ევროკავშირის აქტის დებულება ტრანსპოზიციის</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ზოგიერთი დებულება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ნორმას წარმოადგენს,</p>

	<p>მიზნებისთვის უპირობოდ არასავალდებულოდ მიიჩნევა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში გამოყენებულია ტერმინი “წევრი სახელმწიფოები”.</p>	<p>მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმულირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მიუთითებს. ამდენად, ამგვარი მითითება თავისთავად არ გამოირიცხავს ეროვნულ კანონმდებლობაში მსგავსი ნორმების ტრანსპოზიციის საჭიროებას.</p> <p>შესაბამისად, ევროკავშირის სამართლებრივი აქტის თითოეულ დებულებასთან დაახლოების საკითხი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ნორმის ფორმულირების, არამედ მისი შინაარსის გათვალისწინებით.</p>
<p>25.</p>	<p>მოქმედი ეროვნული მოწესრიგების მიუთითებლობა - როდესაც ცხრილში შესაბამისობის სტატუსად მითითებულია „შეუსაბამო“, მე-5 ველი (ეროვნული ნორმის გრაფა) კი ცარიელია იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენილი პროექტით ან მოქმედი კანონმდებლობით საკითხი გარკვეულწილად უკვე მოწესრიგებულია.</p>	<p>იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტით ან მოქმედი კანონმდებლობით საკითხი გარკვეულ დონეზე, თუნდაც შეუსაბამოდ ან არასრულად, უკვე დარეგულირებულია, საჭიროა ცხრილის მე-5 ველში აისახოს ასეთი ეროვნული დებულებები, ხოლო შესაბამისობის სტატუსი, ახალი მოწესრიგების მიღებამდე, სწორედ მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით განისაზღვროს და შენიშვნების ველში განიმარტოს იმ საფუძვლების თაობაზე, რომელთა გამოც მოცემულ მომენტში ვერ ხერხდება სრული შესაბამისობის მიღწევა.</p>
<p>26.</p>	<p>სამომავლოდ დაგეგმილი რეგულირების დროს სტატუსის არასწორად განსაზღვრა - როდესაც შესაბამისობის ცხრილის შენიშვნების ველში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის სამართლებრივი აქტის კონკრეტული ნორმის სრულად ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში მომავალში მისაღები სამართლებრივი აქტით იგეგმება, ხოლო ცხრილში ამ დებულების</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელ ეროვნულ სამართლებრივ აქტში ან მის პროექტში უკვე განსაზღვრულია სამართლებრივი საფუძველი სამომავლოდ მისაღები აქტისთვის (მაგ., როდესაც კონკრეტულ უწყებას ან მთავრობას ევალება მომავალში საკითხის ნორმატიული მოწესრიგება), ასეთ დროს ცხრილის მე-5, ეროვნული ნორმის ტექსტის ველში, უნდა მიეთითოს აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის დამდგენი</p>

	<p>გასწორებულ შესაბამისობის სტატუსად მითითებულია „შეუსაბამო“, მისი მე-5 ველი (ეროვნული ნორმის გრაფა) კი ცარიელია იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია სამომავლო რეგულირების საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმა.</p>	<p>ნორმა/ნორმის პროექტი, ხოლო შესაბამისობის სტატუსი განისაზღვროს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“.</p> <p>თუკი ეროვნული კანონმდებლობა საერთოდ არ არეგულირებს ევროკავშირის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ საკითხს და, ამასთან, არც სამომავლო რეგულირების სამართლებრივი საფუძველია განსაზღვრული, მაშინ ცხრილის მე-5 ველი არ ივსება, შესაბამისობის სტატუსად განისაზღვრება „შეუსაბამო“, ხოლო შენიშვნების ველში კეთდება მითითება აღნიშნული ურთიერთობის სამომავლო დარეგულირებასთან ან დაურეგულირებლობის მიზეზებთან დაკავშირებით.</p>
<p>27.</p>	<p>შესაბამისობის სტატუსის არასწორად განსაზღვრა და ცხრილის არასათანადო განახლება - როდესაც ინიციატორი უწყება უთითებს, რომ ეროვნული კანონმდებლობა სრულად დაახლოებულია ევროკავშირის კონკრეტულ სამართლებრივ აქტთან, დოკუმენტის შეფასებით კი დგინდება, რომ დაახლოება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა ან საერთოდ არ განხორციელებულა.</p>	<p>ცხრილში შესაბამისობის სტატუსის არასწორად განსაზღვრა შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს გამოწვეული, მათ შორის, არსებული ეროვნული მოწესრიგების არასათანადო შესწავლით, ასევე აქტის ტრანსპოზიციის შემდგომ თავად ევროკავშირში მისი გაუქმებით, მასში ცვლილებების შეტანით ან ახალი აქტის მიღებით.</p> <p>მიზანშეწონილია, შესაბამისობის ცხრილის პირველად ვერსიაში პარალელურად აისახოს თითოეული ცვლილება, რომელიც პროექტში განხორციელდა ეროვნული აქტის მომზადებიდან მის მიღებამდე რომელიმე ეტაპზე (მაგ., საპარლამენტო მოსმენები, მთავრობის ელექტრონულ სისტემაში განხილვის პროცესი და სხვა).</p> <p>დამატებით, დინამიური დაახლოების პრინციპის გათვალისწინებით,</p>

		<p>სასურველია მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის EU <i>acquis</i>-თან შესაბამისობა პერიოდულად სამომავლოდაც შემოწმდეს და ცხრილი ამ მიზნითაც განახლდეს, რათა მასში აისახოს ევროკავშირის სამართლებრივ აქტში შემდგომში შეტანილი ის ცვლილებებიც, რომლებიც ტრანსპოზიციის მიზნებისთვისაა რელევანტური.</p>
<p>28.</p>	<p>ცხრილში შესაბამისობის სტატუსთან დაკავშირებით არასწორი კომენტარის ასახვა - როდესაც არაზუსტია შესაბამისობის ცხრილში გაკეთებული შენიშვნა ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სხვადასხვა დებულებების არასავალდებულოობის მიზეზების შესახებ.</p>	<p>ტრანსპოზიციის მიზნებისთვის არასავალდებულო ზოგიერთი ნორმა დასკვნით დებულებას წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი ეროვნულ სამართალში ასახვა სწორედ ამ საფუძვლითაა არარელევანტური. ზოგ შემთხვევაში ნორმის არასავალდებულო ხასიათს განაპირობებს ის, რომ იგი მხოლოდ წევრს სახელმწიფოებს, ან ევროკავშირის რომელიმე ორგანოს ფუნქციას, უფლებამოსილებას თუ ვალდებულებას უკავშირდება.</p> <p>აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ცხრილში ინდივიდუალურად შეფასდეს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის თითოეული ნორმის ტრანსპოზიციის რელევანტურობის საკითხი. შესაბამისად, თუნდაც არასავალდებულო დებულებების გასწვრივ, ცხრილის შენიშვნების ველში, უნდა მიეთითოს განსახილველი ნორმების ასეთად მიჩნევის კონკრეტული საფუძვლები.</p>
<p>29.</p>	<p>შენიშვნების ველში კომენტარების არაერთგვაროვანი ფორმულირება - როდესაც შესაბამისობის ცხრილის მე-7 (შენიშვნების) ველში სხვადასხვა ნორმების გასწვრივ გაკეთებულ კომენტარებს აქვთ ერთი და იგივე საფუძველი, თუმცა</p>	<p>თუკი შენიშვნების ველში სხვადასხვა ადგილას გაკეთებულ კომენტარებს აქვთ ერთი და იგივე საფუძველი, მიზანშეწონილია, მათი ფორმულირება ჩამოყალიბდეს ერთგვაროვნად.</p>

	<p>მათი ფორმულირება ჩამოყალიბებულია განსხვავებული სახით. მაგ., როდესაც ნორმის არასავალდებულოობას განსაზღვრავს ის, რომ იგი მიემართება უშუალოდ ევროკავშირის ინსტიტუტებს და ცხრილში ამ დებულების არასავალდებულოობის მიზეზი სხვადასხვა კომენტარში განმარტებულია არაერთგვაროვნად.</p>	
<p>30.</p>	<p>ცხრილის ვიზუალის დარღვევა და ასახული მონაცემების წაკითხვის შეუძლებლობა - როდესაც ევროკავშირის სამართლებრივ აქტში მოცემული ცხრილები/დიაგრამები/გრაფიკული გამოსახულებები შესაბამისობის ცხრილში ვიზუალურად აღქმადი ან/და ერთმანეთისგან თვალსაჩინოდ გამოყოფილი არ არის.</p>	<p>აღნიშნული ართულებს ევროკავშირის და ეროვნული სამართლებრივი აქტების ცხრილებით/დიაგრამებით/გრაფიკული გამოსახულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის სიზუსტის აღქმასა და მათ ერთმანეთთან შედარებას.</p> <p>ამდენად, ცხრილში ასეთი მონაცემები უნდა აისახოს ნათლად, რათა შესაძლებელი იყოს თითოეული მათგანის დაუბრკოლებლად წაკითხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი პრაქტიკა გამოიწვევს შესაბამისობის სათანადოდ შეფასების შეფერხებას.</p>
<p>31.</p>	<p>ცხრილში აქტის დანართების ასახვა მათი ფორმატის გაუთვალისწინებლად - როდესაც აქტის დანართის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია შესაბამისობის ცხრილში მისი სტანდარტული ფორმით ჩამოყალიბება, ხოლო უწყება მას არათვალსაჩინოდ ან საერთოდ არ ასახავს.</p>	<p>ასეთ დროს შესაძლებელია, სათანადო სიმბოლოს და შენიშვნის გაკეთებით, ამგვარი დანართი შესაბამისობის ცხრილს ცალკე დაერთოს.</p> <p>კერძოდ, მსგავსი შემთხვევის გასწვრივ, შესაბამისობის ცხრილის შენიშვნების ველში უნდა გაკეთდეს კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ დანართის ფორმატიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ცხრილში მისი სტანდარტული ფორმით ასახვა და ამიტომ იგი მოცემულია შესაბამისობის ცხრილის ბოლოს. შენიშვნების ველში მსგავსი კომენტარი უნდა აღინიშნოს</p>

		<p>რომელიმე სიმბოლოთი, (მაგ., ფიფქით(*)), რომელიც უნდა განმეორდეს შესაბამისობის ცხრილის ბოლოს დართულ ასეთ დანართთანაც. თუ მოცემულია რამდენიმე ასეთი დანართი, შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სიმბოლოთა რაოდენობაც.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრაქტიკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანართის ფორმატი არ იძლევა შესაბამისობის ცხრილში მისი თვალსაჩინოდ ასახვის შესაძლებლობას.</p>
32.	<p>არასათანადო კოორდინაცია - რელევანტურ უწყებათა შორის არაჯეროვანი თანამშრომლობა ან/და ინფორმაციის არასაკმარისი გაცვლა.</p>	<p>მიზანშეწონილია, შესაბამისობის ცხრილი მომზადდეს იმავე უწყების მიერ, რომელიც კონკრეტული აქტის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზეა პასუხისმგებელი.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება რამდენიმე უწყების კომპეტენციაში შედის, არსებითად მნიშვნელოვანია ჯეროვანი კოორდინაციის უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხრილების ან დებულებების დუბლირება.</p>
33.	<p>ქაოტური ტრანსპოზიცია - ერთმანეთთან დაკავშირებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვისას ამ კავშირის იგნორირება და მათი სხვადასხვა დროს ტრანსპოზიცია.</p>	<p>დაახლოების პროცესში ეროვნული სამართლებრივი სისტემის ერთიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ურთიერთდაკავშირებული ნორმების/აქტების ერთობლივი ანალიზი და მათი სათანადო ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების მიზნები შეიძლება სრულყოფილად ვერ განხორციელდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ერთი საკითხის განსხვავებული ასპექტები ევროკავშირის ერთზე მეტი სამართლებრივი აქტით რეგულირდება, სასურველია, რომ კანონმდებელმა ყველა ამ აქტზე ერთდროულად</p>

		<p>იმუშაოს, თუ, რა თქმა უნდა, არ არსებობს სხვაგვარად მოქცევის მნიშვნელოვანი მიზეზები.</p> <p>ამის პარალელურად, შესაძლებლობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ურთიერთდაკავშირებული აქტების ტრანსპოზიცია ეროვნულ დონეზე ერთ აქტში/ერთი ცვლილებების პაკეტით განხორციელდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ეროვნულ კანონმდებლობაში გადაჭარბებული რეგულირება, პარალელური რეგულაციების მიღება ან დუბლირება, რესურსების არაგონივრული ხარჯვა და კანონმდებლობის ხშირი ცვლილების აუცილებლობა.</p>
<p>34.</p>	<p>კანონმდებლობის კოპირება - როდესაც ხდება ევროკავშირის წევრი, ასოცირებული თუ კანდიდატი ქვეყნის კანონმდებლობაში ასახული ევროკავშირის კონკრეტული აქტის მოთხოვნების სიტყვასიტყვითი გადმოტანა.</p>	<p>აღნიშნული პრაქტიკა რეკომენდებული არ არის. ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა თავის მხრივ უნიკალურია, გამოირჩევა საკუთარი სტილით და მორგებულია ეროვნულ თავისებურებებს.</p> <p>ამდენად, ტრანსპოზიციის ის ფორმა, რომელიც ერთ ქვეყანაში წარმატებით იქნა გამოყენებული, შესაძლოა მეორეგან მიზანშეწონილი არ იყოს, თუნდაც მათ მსგავსი სამართლებრივი სისტემები ან აქტიური თანამშრომლობა აკავშირებდეთ. ასეთ შემთხვევაში, თუ ერთი ქვეყნის ეროვნულ აქტში თავიდანვე არასწორად აისახა ევროკავშირის დებულების მოთხოვნა, მეორე ქვეყნის მიერ კოპირების ტექნიკის გამოყენებისას დიდია იმავე შეცდომის დაშვების რისკი. აღნიშნულში იგულისხმება არა ის, რომ დაახლოების პროცესში სასურველი არ არის სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, არამედ ის, რომ საჭიროა ამგვარი პრაქტიკის მიმართ კრიტიკული მიდგომის შენარჩუნება და ეროვნული კანონმდებლობის</p>

		სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინება.
35.	<p>აღსრულების მექანიზმის ხარვეზი - როდესაც აღსრულების მექანიზმი არასათანადოდ განისაზღვრება ან იგი საერთოდ არ არის გათვალისწინებული.</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად ისინი თავად კი არ ადგენენ აღსრულების მექანიზმებს, არამედ ამ აქტის მოთხოვნათა იმპლემენტაციის ვალდებულებას წევრ სახელმწიფოებს განუსაზღვრავენ. ამდენად, როდესაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტი შეიცავს ისეთ დებულებას, რომელშიც გაცხადებულია, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სააღსრულებო ღონისძიებები/განახორციელონ შესაბამისი კონტროლი/ზედამხედველობა და ა.შ.“, კანონმდებელმა ამგვარი მექანიზმი, ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, იმგვარად უნდა შეარჩიოს, რომ უზრუნველყოს ევროკავშირის მოთხოვნათა სრულყოფილი იმპლემენტაციის შესაძლებლობა.</p> <p>ამასთან, საგულისხმოა, რომ სათანადო სააღსრულებო ღონისძიებები შესაძლოა გარკვეულწილად უკვე გათვალისწინებული იყოს შიდა კანონმდებლობით. ამდენად, მნიშვნელოვანია ეროვნული მოწესრიგების სათანადოდ შესწავლა, რათა პარალელური პროცესუალური ნორმების შემოღება თავიდან იქნეს აცილებული.</p>
36.	<p>დაახლოების პროცესში არასათანადო მეთოდის გამოყენება - ევროკავშირის აქტის ტრანსპოზიციისთვის შეუსაბამო ინსტრუმენტის გამოყენება, მაგ., როდესაც:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ევროკავშირის სავალდებულო სამართლებრივი ნორმების 	<p>ზოგადი წესის შესაბამისად, დაახლოება უნდა განხორციელდეს იმავე სამართლებრივი ფორმის აქტით, რომელიც შეირჩეოდა ტრანსპოზიციის ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ არასათანადო ინსტრუმენტის</p>

<p>ტრანსპოზიცია ხორციელდება არამხოლოდ ხასიათის აქტებში (ინსტრუქციები, მხოლოდ შიდა გამოყენების დოკუმენტები, სარეკომენდაციო სახელმძღვანელო პრინციპები, გაიდლაინები და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში ნორმა ადრესატებს ვერ დაუდგენს უფლებებსა და ვალდებულებებს;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ტრანსპოზიცია ხორციელდება ისეთი აქტის მიღებით, რომელიც ევროკავშირის აქტის მოთხოვნების იმპლემენტაციისთვის საჭირო ზომებს ვერ ადგენს, ვერ ქმნის სათანადო აღსრულების მექანიზმს, არ განსაზღვრავს აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს ან პირებს და ა.შ.; ○ იერარქიულად ქვემდგომი აქტი დელეგირების ჩარჩოებს სცდება ან კანონი სრულ დელეგირებას არ ახდენს, მაშინ, როდესაც აუცილებელია დამატებითი კანონქვემდებარე აქტის მიღება ევროკავშირის ვალდებულების სრულყოფილად იმპლემენტაციისთვის. 	<p>გამოყენებამ შესაძლოა სამართლებრივ აქტს იურიდიული ძალა ვერ მიანიჭოს ან მისი აღსრულება შეუძლებელი გახადოს. ამდენად, დასაახლოებელი ეროვნული აქტის სამართლებრივი ფორმის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპოზიციის სათანადოდ წარმართვისთვის.</p>
--	--